



## საქართველოში მუსლიმების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ კომუნიკაცია მოკლე ვადებში დაიწყო

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 4 ნოემბერი

2016 წლის 19 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიმართა თხოვნით, წარმოადგინოს საპასუხო არგუმენტები იმ საჩივართან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სოფელ მოხეში მუსლიმების წინააღმდეგ პოლიციამ სიძულვილით მოტივირებული [დანაშაული ჩაიდინა](#). აღსანიშნავია, რომ სასამართლომ სახელმწიფო მხარეს საჩივრის აღძვრიდან მალევე, 6 კვირის შემდეგ მიმართა. ოთხი მომჩივანი, რომლებიც ძველი მეჩეთის შენობის საჯარო შენობად გადაკეთებასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმებს აპროტესტებდნენ, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს, ცემეს, დააპატიმრეს და მათ წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით სიძულვილის ენა გამოიყენეს. მომჩივნების ინტერესებს იცავენ მიდლსექსის უნივერსიტეტის [“ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი”](#) და [“ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი”](#) (თბილისი).

2014 წლის ზაფხულში მუსლიმთა ადგილობრივმა თემმა გამოხატა პროტესტი ადიგენის მუნიციპალიტეტის გეგმებთან დაკავშირებით, რომელიც ძველი მეჩეთის საჯარო შენობად გადაკეთებას ითვალისწინებდა. 2014 წლის 22 ოქტომბერს სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ადგილობრივი მუსლიმები, მათ შორის ოთხი მომჩივანი, დაუგეგმავად შეიკრიბნენ მშენებლობის ადგილთან ახლოს და დაიწყეს პროტესტის გამოხატვა. პოლიციამ დემონსტრანტებს შეურაცხყოფა მიაყენა, მომჩივნები და ათი სხვა ადამიანი დააკავა და ადიგენის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა. მომჩივნები აცხადებენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საპროტესტო დემონსტრაციის დროს და პოლიციის განყოფილებაში, მათ შორის რელიგიური ნიშნით.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნები აცხადებენ, რომ პოლიციის თანამშრომლები მათ არასათანადოდ ეპყრობოდნენ როგორც საპროტესტო დემონსტრაციისას, ისე პოლიციის განყოფილებაში ყოფნის დროს. პოლიციამ მათ წინააღმდეგ გადამეტებული ფიზიკური ძალა და ისლამოფობიური სიძულვილის ენა გამოიყენა, რაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლის (არაკუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მოთხოვნებს. მომჩივნები აგრეთვე აცხადებენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მათი ბრალდებების ეფექტური გამოძიება,



კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების პროცედურული ნაწილისა და მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) შესაბამისად.

საქართველოში რელიგიური უმცირესობების სისტემურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი. “ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ” 2015 წლის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს მოხეს ინციდენტზე და აღნიშნავს, რომ *“ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად შეიძლება დასახელდეს რელიგიური შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ სამართლადრღვევებზე დროული, ადეკვატური და ეფექტური რეაგირება”*. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა, არ ხდება მისი ეფექტური განხორციელება პრაქტიკაში და სახელმწიფო მოხელეების, მათ შორის პოლიციის თანამშრომლების დასჯა აღნიშნული კანონის საფუძველზე. სასამართლოს მიერ კომუნიკაციის მოკლე ვადებში დამყარება მოხეში მუსლიმთა თემის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებების სიმძიმეზე მიუთითებს.

## ტეგები

- თანასწორობა
- საქართველო
- არასათანადო მოპყრობა/სიკვდილი პატიმრობაში
- სამართალწარმოება
- დისკრიმინაციის აკრძალვა
- წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა
- სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება